მიგრაციული პროცესების გეოგრაფია აფრიკაში

სანდრო გოგოლაძე

ელ-ფოსტა: sandro.gogoladze467@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო მიგრაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს. მისი შესწავლა ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში საერთაშორისო მიგრაციისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა, მიზეზი კი მისი მასშტაბების ზრდაა. საერთაშორისო მიგრაციის ინტენსივობა სწრაფი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, თუ 1990-იან წლებამდე საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობა ყოველწლიურად 2 მილიონი ადამიანით მატულობდა, ამჟამად, ზრდამ 3-4 მილიონს მიაღწია. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობის აღრიცხვა რთულია, რადგან ბევრი ქვეყანა ზუსტად ვერ აღრიცხავს მიგრაციულ ნაკადებს და იძლევა მიახლოებით შეფასებებს, რაც რეალური მაჩვენებლების სისწორეს ეჭვქვეშ აყენებს.

საერთაშორისო მიგრაციაში, თავისი ხასიათის მიხედვით, გამოყოფენ მიგრაციულ ნაკადთა 4 მთავარ ტიპს. ეს არის *შრომითი მიგრაცია, ოჯახის წევრთა გამაერთიანებელი მიგრაცია, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა მიგრაცია და არალეგალური მიგრაცია.*

აფრიკა გამორჩეული რეგიონია მიგრანტთა (განსაკუთრებით, ლტოლვილთა) რაოდენობით. რეგიონში შექმნილია უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, რაც საბოლოო ჯამში, განაპირობებს მიგრანტთა უზარმაზარი ნაკადების წარმოქმნას როგორც კონტინენტის შიგნით, ასევე სხვა კონტინენტების მიმართულებით.

წინამდებარე ნაშრომი აღწერს მიგრაციის არსს, მის სახეებს, მსოფლიოში არსებულ ვითარებას ამ მიმართულებით და მიმოიხილავს აფრიკის კონტინენტს, როგორც მიგრანტთა უზარმაზარი ნაკადების წყაროს მსოფლიოში. ხოლო ნაშრომის მთავარი ამოცანა არის დავადგინოთ მიზეზები, რომლებიც იწვევენ მიგრანტთა დიდი რაოდენობის წარმოშობას აფრიკაში.